



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

030463728855213

KA030463728855213

№ 04-72/ო

27 / თებერვალი / 2013 წ.

2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის კომპონენტით გათვალისწინებული ნოზოლოგიებისა და მდგომარეობების ღირებულებების განსაზღვრისა და წარმოდგენის ღონისძიებების თაობაზე

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით (შემდგომში–დადგენილება) დამტკიცებული „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში–პროგრამა) მე-4 მუხლის და 22-ე მუხლის მე-5, მე-6 და მე-8 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით, აღნიშნული პროგრამის გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების პირობებით (დანართი 1.2) განსაზღვრული ნოზოლოგიებისა და მდგომარეობების ღირებულებების მიმწოდებელთა მხრიდან ორგანიზებულად და კოორდინირებულად წარმოდგენის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ–სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ცნობად იქნეს მიღებული:

ა) პროგრამის გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების რეგისტრირებულ მიმწოდებლებს ევალუატი დადგენილების N1.2 დანართით განსაზღვრული ნოზოლოგიებისა და მდგომარეობების შესაბამისი ღირებულებების განმარტაციულად წარმოდგენა იმ პირობით, რომ ეს ღირებულებები არ აღემატებოდეს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის N218 და 2012 წლის 7 მაისის N165 დადგენილებებით გათვალისწინებულ მოსარგებლეთათვის გაწეული შესაბამისი სამედიცინო მომსახურების ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაფიქსირებულ ისტორიულ მინიმალურ ღირებულებას, მაქსიმუმ 10 პროცენტის განსაზღვრით;

ბ) პროგრამის გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების რეგისტრირებულ მიმწოდებლებს უფლება აქვთ, მოახდინონ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის კორექტირება, მისი წარმოდგენიდან ერთი თვის ვადაში;

გ) რეგისტრირებული მიმწოდებელი პასუხს აგებს ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარმოდგენილი ინფორმაციის (ნოზოლოგიებისა და მდგომარეობების ღირებულებები) ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობაზე და ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის გამო, განიხილება შესაბამისი მიმწოდებლის პასუხისმგებლობის საკითხი, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია, პროგრამის გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების რეგისტრირებულმა მიმწოდებლებმა განმახორციელებლის მიერ დადგენილი ფორმატით და კოდირების მიხედვით (ამ ბრძანების დანართის შესაბამისად), ელექტრონული ფორმით, უნდა წარმოადგინონ ჯანდაცვის სამედიცინო დაწესებულებების საინფორმაციო პორტალზე, ხოლო შემდგომ – დოკუმენტური ფორმით.

3. სააგენტოს ადმინისტრაციამ (გ. გოგოლაძე), საჯარო გაცნობის მიზნით, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ვებგვერდზე – www.ssa.gov.ge, 2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის თაობაზე ინფორმაციასთან ერთად.

4. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების უფროსებს დაევალოთ, შესაბამის მიმწოდებელთა ინფორმირება აღნიშნული ბრძანების თაობაზე და წერილის საფუძველზე, სააგენტოს ეკონომიკურ დეპარტამენტში მიმწოდებელთა რეგისტრაციის აღრიცხულ განაცხადებთან ერთად, ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის დოკუმენტური სახით წარმოდგენა.

5. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო,
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე

